GEFF Green Economy Financing Facility

European Bank for Reconstruction and Development

# შეიტანეთ წვლილი მდგრადი სტუმართმოყვარეობის ინდუსტრიის ჩამოყალიბებაში და მიაღწიეთ წარმატებას GEFF-თან ერთად



თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტიციების განხორციელებით, თქვენი სასტუმრო თუ კვების ბიზნესი მეტად კონკურენტუნარიანი გახდება

პროექტის მხარდამჭერები:

GREEN CLIMATE FUND

Federal Ministry Republic of Austria Finance

**თუ თქვენ გაქვთ სასტუმრო, სარესტორნე ან სხვა სახის ბიზნესი სტუმართმოყვარეობის ინდუსტრიაში,** თქვენთვის ნაცნობია მუდმივი გამოწვევები: მძაფრი კონკურენცია, მომხმარებლის მაღალი მოლოდინები, მაღალი საოპერაციო ხარჯები. ამ გამოწვევების დაძლევა, კონკურენტული უპირატესობის მოპოვების მნიშვნელოვანი ნაწილია.

ინდუსტრიის ერთ-ერთი გამოწვევის დაძლევაში GEFF პროგრამა დაგეხმარებათ. თუკი თქვენი ბიზნესი დიდი რაოდენობით ენერგიას მოიხმარს, თქვენ მარტივად შეგიძლიათ მასთან ასოცირებული ხარჯების შემცირება, გამონთავისუფლებული სახსრებით კი - მომხმარებლის უკეთ მომსახურება. მაგალითისთვის, GEFF პროგრამის ფარგლებში, თქვენ შეგიძლიათ შეიძინოთ ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიები, რომლებიც წყლისა და ელ.ენერგიის გამოყენებას მინიმუმ 20%-მდე შეგიმცირებთ.

## რა არის GEFF და როგორ შეიძლება მისი გამოყენება სტუმართმოყვარეობის ინდუსტრიაში?

GEFF-ის მთავარი მიზანი მდგრადი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობაა, რომელიც ბიზნესებისთვის სასიკეთო პირობების შექმნის, გარემოსთვის კი - ზიანის შემცირებისკენაა ორიენტირებული.

## GEFF-ის დაფინანსებით თქვენ შეგიძლიათ შეიძინოთ:

| | |
|---|---|
| გათბობისა და გაგრილების სისტემები | ვენტილაცია<br>ჰაერის გაგრილება<br>ბოილერები (ბუნებრივი აირის, ბიომასისა და ნავთობის)<br>მზის თერმული კოლექტორები<br>თბური ტუმბოები |
| დანადგარები | ჭურჭლის სარეცხი მანქანები<br>სარეცხი მანქანები<br>მაცივრები<br>წვიმის წყლის მოსავლის სატანკოები |
| განათება | LED განათება<br>მაღალი წნევის სოდიუმის ნათურები |
| შენობები | იზოლაცია<br>კარ-ფანჯრები<br>შემინვა<br>ლიფტი |



თანამედროვე ტექნოლოგიების სრული ჩამონათვალის სანახავად, თქვენ შეგიძლიათ ესტუმროთ მწვანე ტექნოლოგიურ სარჩევს, სადაც დაგხვდებათ ყველა ის ტექნოლოგია, რომელიც წინასწარ დამტკიცებულია GEFF ფინანსირებისთვის $300,000 ფარგლებში (ან ექვ. სხვა ვალუტაში).

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გაქვთ მრავალკომპონენტიანი პროექტი, რომელიც ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს, თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ GEFF-ის უფასო ტექნოლოგიური შეფასება, რომელსაც პროგრამის ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები ჩაატარებენ.

## GEFF ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲗᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲘᲓᲐᲜ:

| | |
|---|---|
| **ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲐ** | შენობის რეკონსტრუქცია |
| **ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲝᲠᲘ** | სასტუმრო „მუზეუმი“ |
| **ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲢᲘᲞᲘ** | სასტუმრო |
| **ᲐᲦᲬᲔᲠᲐ** | ინვესტიციის შედეგად ენერგიის გამოყენება 90%-ით შემცირდა |
| **ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲐ** | € 202,700 |
| **ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲖᲝᲒᲘ** | 242,975 მგვტსთ წელიწადში |
| **$CO_2$ ᲓᲐᲖᲝᲒᲕᲐ** | 41 ტონა წელიწადში |



სასტუმროს მფლობელი, GEFF პროგრამაში ჩართვის სარგებელზე:

*„GEFF-ის დაფინანსების მეშვეობით, ჩვენ 90%-ით შევამცირეთ ჩვენი ენერგიის მოხმარება. ახალი, ენერგოეფექტური ტექნოლოგიების წყალობით გაზის დანაზოგი 242,975 კვსთ-ს, ხოლო ელექტრო ენერგიის დანაზოგი 4,206 კვსთ-ს შეადგენს. პროგრამის დახმარებით ჩვენ ნამდვილად ხელშესახებ შედეგს მივაღწიეთ, რამაც ევროკავშირის ენერგოეფექტურობის სტანდარტების დაცვაც უზრუნველყო“.*

სოფო ჯღარკავა, გენერალური დირექტორი
სასტუმრო „მუზეუმი“



შეკითხვებისა და დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ მოგვწეროთ. ჩვენი გუნდი სიამოვნებით დაგეხმარებათ.

GEFF საქართველოში
თამარაშვილის ქ. 13ა | თბილისი, საქართველო
georgia@ebrdgeff.com | +995 32 2290809 | www.ebrdgeff.com/georgia